ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

N 13/20 **12.05.2020წ.**

ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. N7, აბესაძის (ყოფ. პირველი მაისის) ქ. N9-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.18.03.039.049, სასტუმროს რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე

ექსპერტი: მარია მარსაგიშვილი
ექსპერტი: მაია ჩხაიძე

თბილისი 2020

დამკვეთი: შპს „ლათა“, დირექტორი მარიანა მამაჯანოვი
საპროექტო ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, გ. აბესაძის ქ. N7, აბესაძის (ყოფ. პირველი მაისის) ქ. N9, მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.18.03.039.049
საპროექტო ობიექტი: სასტუმრო
მშენებლობის სახეობა: რეკონსტრუქცია

წინამდებარე ექსპერტიზა შესრულებულია შპს „ლათას“ დირექტორ მარიანა მამაჯანოვთან 2020 წლის 2 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრული საექსპერტო შეფასება ადგენს III, IV კლასების შენობა-ნაგებობების დეტალური არქიტექტურული პროექტის შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ადგენს ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. N7, აბესაძის (ყოფ. პირველი მაისის) ქ. N9-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.18.03.039.049, სასტუმროს რეკონსტრუქციის დეტალური არქიტექტურული პროექტის „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დეტალური არქიტექტურული პროექტის (შემდგომში - „პროექტი“) შესაბამისობას „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან (შემდგომში - „წესები“).

ექსპერტიზას დაექვემდებარა დამკვეთის მიერ ელექტრონულ ფორმატში წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტი. საექსპერტო დასკვნა მომზადებულია 2 თანაბარ ეგზემპლარად, სკანირებული ელექტრონული ვერსიის სახით pdf ფორმატში, ექსპერტიზის წინაშე წარდგენილი არქიტექტურული პროექტი შენახულია ექსპერტების მიერ, სქემატური ნახაზები თანდართულია დამკვეთისთვის გადაცემული საექსპერტო დასკვნის ელექტრონულ ვერსიაზე და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ვრცელდება მხოლოდ დამკვეთის მიერ ექსპერტიზის წინაშე წარდგენილ არქიტექტურულ პროექტზე. ექსპერტიზას დაქვემდებარებულ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში საჭიროა შესრულდეს შეცვლილი არქიტექტურული პროექტის ხელახალი საექსპერტო შეფასება. ექსპერტები პასუხს არ აგებენ არქიტექტურულ პროექტში ნებისმიერი ცვლილების, ასევე მშენებლობის პროცესში წინამდებარე ექსპერტიზას დაქვემდებარებული პროექტისგან განსხვავებით სამუშაოების განხორციელების შედეგებზე.

საექსპერტო შეფასებას დაექვემდებარა N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობაზე (ფუნქცია - სასტუმრო) რეკონსტრუქციის პროექტი. აღნიშნულ შენობას საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად დღეის მდგომარეობით გააჩნია კავშირი N01.18.03.039.048 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობასთან. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 30.01.2015წ. N1708460 ბრძანებით შეთანხმებული გ. აბესაძის ქ. N7 / აბესაძის (ყოფ. პირველი მაისის) ქ. N9-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.18.03.039.043, სასტუმროს შენობის რეკონსტრუქციის პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის, კერძოდ, არსებული სიტუაციის ამსახველი ნახაზების შესაბამისად, N01.18.03.039.043 საკადასტრო ერთეულზე მდებარეობდა ორი ცალკემდგომი შენობა, რაც ასევე დასტურდება 28.10.14წ. საკადასტრო გეგმით, ხოლო 30.01.2015წ. N1708460 ბრძანებით შეთანხმებული რეკონსტრუქციის ფარგლებში დაგეგმილი იყო არნიშნული შენობების ერთმანეთთან დაკავშირება.

საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურის 30.01.2015წ. N1708460 ბრძანების გაცემის შემდგომ პერიოდში განხორციელებულია N01.18.03.039.043 საკადასტრო ერთეულის გამიჯვნა (N01.18.03.039.049 და N01.18.03.039.048 მიწის ნაკვეთებად), რის შედეგადაც დღეის მდგომარეობით ერთმანეთთან დაკავშირებული ორი შენობა მდებარეობს N01.18.03.039.048 და N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულებზე.

შპს „მონოლითის“ 06.05.2020წ. N29/20 კონსტრუქციული დასკვნის (იხ. დანართი 2) შესაბამისად, დღეის მდგომარეობით N01.18.03.039.048 და N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულებზე მდებარე შენობები წარმოადგენენ კონსტრუქციული თვალსაზრისით „სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს“, „განსხვავებული კონსტრუქციული სქემებით, სხვადასხვა საძირკვლებითა და სართულიანობით“, ამასთან, „შენობების კავშირი ერთმანეთთან წმინდა არქიტექტურული სახისაა“.

ექსპერტიზას დაქვემდებარებული რეკონსტრუქციის პროექტი მოიცავს N01.18.03.039.048 და N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულებზე მდებარე შენობების სრული განცალკევების მიზნით, N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე არსებული, შენობების დამაკავშირებელი ნაწილის დემონტაჟს და N01.18.03.039.049 მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე, სადემონტაჟო არეალში შენობის შემომსაზღვრელი კედლის მშენებლობას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV და V კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე, მშენებლობასა და მოვლა-პატრონობაზე. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ შენობა-ნაგებობები აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე ამ დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ, მათი რეკონსტრუქციისას დაუშვებელია დადგენილების მოთხოვნათა მიმართ არსებული შეუსაბამობის ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზრდა.

არსებული სარეკონსტრუქციო შენობა აშენებულია ამ დადგენილების ამოქმედებამდე დადგენილების მოთხოვნების შეუსაბამოდ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ არქიტექტურის სამსახურის 30.01.2015წ. N1708460 ბრძანებით ერთიან მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული რეკონსტრუქციის ფარგლებში ორი ცალკემდგომი შენობის დაკავშირებამ, თავდაპირველი მიწის ნაკვეთის ორ მიწის ნაკვეთად გაყოფის შემდგომ დამატებით გამოიწვია არსებითი შეუსაბამობა უსაფრთხოების წესებთან.

წესები ითვალისწინებს შენობის მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე განთავსებას ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების საფუძველზე გარე კედლებისადმი და მათში ღიობებისადმი

მოთხოვნების დაცვით. ორ სხვადასხვა საკადასტრო ერთეულებზე მდებარე შენობებს შორის კავშირის არსებობა, საზიარო შიდა სივრცით, გულისხმობს სარეკონსტრუქციო შენობაზე მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მხარეს უშუალოდ საკადასტრო საზღვარზე ღიობს. გარე კედლის ღიობების დასაშვები ფართობი განისაზღვრება 705.8 ცხრილით ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის საფუძველზე. 705.8 ცხრილით დაუშვებელია გარე კედელზე ღიობები 1 მ-ზე ნაკლებ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი მდგომარეობა წესების შეუსაბამოა და წინააღმდეგობაშია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან როგორც N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობასთან, ასევე N01.18.03.039.048 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობასთან მიმართებაში.

ექსპერტიზას დაქვემდებარებული რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრას და N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის, საპროექტო სამუშაოების ფარგლებში, წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ასევე, 30.01.2015წ. N1708460 ბრძანებით შეთანხმებული რეკონსტრუქცია გულისხმობდა ორი კონსტრუქციულად დამოუკიდებელი შენობა-ნაგებობის არქიტექტურულ-გეგმარებითი და ფუნქციური თვალსაზრისით ერთ ობიექტად ექსპლუატაციას, მაგრამ საკადასტრო ერთეულების გამიჯვნის შედეგად საზიარო სივრცე მოიქცა ორი დამოუკიდებელი მიწის ნაკვეთის (საკუთრების) ტერიტორიაზე. უსაფრთხოების წესები არ ითვალისწინებს ერთ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის ელემენტების (გასასვლელი საშაულებების სისტემის კომპონენტების, წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების და სხვ.) გამოყენებას სხვა მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობის მიზნებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზას დაქვემდებარებული რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები მიზანშეწონილია განხორციელდეს N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის წესების მოთხოვნებთან შეუსაბამობის ხარისხის შემცირების მიზნით.

წესების 2101.1 ქვეთავის თანახმად, ამ თავის დებულებები არსებული ნაგებობების გადაკეთებას, შეკეთებას, მიშენება-დაშენებას ან დაკავებულობის შეცვლას არეგულირებს. 2104.1 ქვეთავის თანახმად, 2101.4 ქვეთავში ან ამ ქვეთავში განსაზღვრული შემთხვევების გარდა ნებისმიერი შენობის ან ნაგებობის გადაკეთებისას ამ წესების მოთხოვნები უნდა შესრულდეს, რომლებიც ახალი მშენებლობისთვისაა განსაზღვრული. არსებული შენობის ან ნაგებობის გადაკეთების შემდეგ ამ წესების მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის ხარისხი არ უნდა შემცირდეს შენობის ან ნაგებობის გადაკეთებამდე არსებულ ხარისხთან შედარებით.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, კერძოდ, სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად არსებული შენობის გადაკეთება მოიცავს „7-1“ ღერძებში ფასადზე, „6-1“ ღერძებში მონაკვეთში, -2.45 და -1.10 ნიშნულებზე სართულზე, გარე კედლის მშენებლობას არსებული სტრუქტურული ჩარჩოს შევსებით. სარეკონსტრუქციო გადასაკეთებელ სართულზე დაკავებულობა კლაციფიცირებულია წესების 310.3 ქვეთავის შესაბამისად როგორც საცხოვრებელი ჯგუფი სც-1, ამასთან, პროექტი არ ითვალისწინებს არსებული დაკავებულობის ჯგუფის შეცვლას.

ცეცხლმედეგობის ხარისხი გარე კედლებისთვის განისაზღვრება 602-ე ცხრილის შესაბამისად ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით. 1.5 მ-ზე ნაკლები ან ტოლი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისთვის, სც დაკავებულობაში, კონსტრუქციის ყველა ტიპისთვის გარე კედლის ცეცხლმედეგობის აუცილებელი ხარისხია 1 სთ. პროექტის მიხედვით, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი საპროექტო გარე კედლისთვის შეადგენს მაქსიმუმ 1.5 მ-ს და ასაშენებელი კარე კედლის ცეცხლმედეგობის ხარისხია 1 სთ, რაც შეესაბამება წესების მოთხოვნებს ახალი მშენებლობისთვის.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ გულისხმობს N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის დაკავებულობის ცვლილებას, სადემონტაჟო არეალის ფართობის დაშლის და გარე კედლის მშენებლობის შედეგად დაგეგმილია შენობის პირველ სართულზე ფართობის შემცირება, შესაბამისად, აღნიშნული ცვლილება არ იწვევს არსებული დაკავებულობის დატვირთვის გაზრდას. ფართობის სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული.

პროექტი არ გულისხმობს N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის კონსტრუქციის ტიპის, შენობის სიმაღლის, გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების, გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების, მისაწვდომობის, სახურავის ანაწყობების, ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების, ხანძრისაგან დაცვის სისტემების, წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეცვლას ან სხვა რაიმე ცვლილებას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს N01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულზე მდებარე სარეკონსტრუქციო შენობის შეუსაბამობის ხარისხის გაზრდა.

<u>შენიშვნა 1:</u> *ვინაიდან ექსპერტიზას დაქვემდებარებული რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არსებით გავლენას ახდენს მომიჯნავე N01.18.03.039.048 საკადასტრო ერთეულზე მდებარე შენობის ექსპლუატაციის შესაძლებლობაზე (მაგალითად, სართულების დამაკავშირებელ კიბეზე მოხვედრა არსებული მდგომარეობით შესაძლებელია მხოლოდ სარეკონსტრუქციო შენობიდან და შეუძლებელი გახდება პროექტით გათვალისწინებული რეკონსტრუქციის შედეგად), აღნიშნული შენობის შემდგომი ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია აღნიშნულ შენობაზე შესაბამისი სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება, მოქმედი ნორმებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.*

<u>შენიშვნა 2:</u> *სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შედეგად, მათ შორის კიბის საფეხურების დემონტაჟის შედეგად, გარე კედელში და/ან იატაკის ანაწყობში წარმოქმნილი ნებისმიერი ღიობი სრულად ამოშენდეს კედლის და იატაკის შესაბამისი ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მასალებით.*

<u>შენიშვნა 3:</u> *სარეკონსტრუქციო შენობის არსებული დაკავებულობა დარჩეს უცვლელი. დაკავებულობის ნებისმიერი ცვლილების დასაშვებობის დადგენის მიზნით აუცილებელია ჩატარდეს ახალი საექსპერტო შეფასება.*

დასკვნა:

ქ. თბილისში, გ. აბესაძის ქ. N7, აბესაძის (ყოფ. პირველი მაისის) ქ. N9-ში, მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით N01.18.03.039.049, სასტუმროს რეკონსტრუქციის (სადემონტაჟო სამუშაოები და გარე კედლის ამოშენება) არქიტექტურულ პროექტს ეძლევა დადებითი დასკვნა „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ექსპერტიზაში განსაზღვრული შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შესრულება. ექსპერტი არ არის პასუხისმგებელი შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

ექსპერტი **მაია ჩხაიძე**

ექსპერტი **მარია მარსაგიშვილი**

საექსპერტო დასკვნაზე დანართები:

1. *შპს „მონოლითის“ 06.05.2020წ. N29/20 კონსტრუქციული დასკვნა - 4 ფურცელი;*
2. *არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა - 7 ფურცელი.*
3. *ექსპერტიზას დაქვემდებარებული საპროექტო დოკუმენტაცია - 29 ფურცელი.*

აქტი: **ა60.01173544**

თარიღი: **20.12.2017**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მარია მარსაგიშვილს (პირადი № 01030017363) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2009 წლის 05 ნოემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ. 2009 წლის 05 ნოემბრიდან 2010 წლის 01 ივლისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის მიწის ნაკვეთის გამოყენების მომზადების განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2010 წლის 01 ივლისიდან 2017 წლის 25 სექტემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური -
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ლევან გოროზია

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

STU № 000353

This is to certify that Mr./Ms. Maria Marsagishvili was enrolled in 2000 and in 2005 completed Georgian Technical University the full study programme of the Faculty of Architecture with a major in Architecture

By the decision of the Qualification Commission 12.12. 2005 (Month, Day, Year) was awarded an Academic Degree of Certified Specialist and the qualification of Architect

Seal

Rector R. Khmaladze

Dean

City Tbilisi

Registration No 00428

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

STU № 000353

ეძლევა მარია მარსაგიშვილს

მასზედ, რომ იგი 2000 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომირებული სპეციალისტის სრული კურსი არქიტექტურის სპეციალობით

საკვალიფიკაციო კომისიის 2005 12 12 (წელი, რიცხვი, თვე) გადაწყვეტილებით მარია მარსაგიშვილს მიენიჭა დიპლომირებული სპეციალისტის აკადემიური ხარისხი და არქიტექტორის კვალიფიკაცია

ბ.ა.

რექტორი

დეკანი

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 00428

აქტი: **ა60.01173543**

თარიღი: **20.12.2017**

ც ნ ო ბ ა

ეძლევა მაია ჩხაიძეს (პირადი №01026012574) მასზედ, რომ იგი 2009 წლის 05 აგვისტოდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურედ. 2009 წლის 31 დეკემბრიდან 2010 წლის 02 დეკემბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის მარცხენა სანაპიროს სანებართვო განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო 2010 წლის 02 დეკემბრიდან 2017 წლის 23 ოქტომბრამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე.

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური -
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და
ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილება - განყოფილების უფროსი

ლევან გოროზია

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

BACHELOR'S
DIPLOMA

BA № 000439

This is to certify that by the decision September 20, 2007.

of the Architecture, Urban Planning and Design faculty

of the **Technical University of Georgia**

Ms. Maia Chkhaidze

born on October 19, 1986.

was awarded an academic Degree of Bachelor with Major in

Architecture

seal

Dean of the faculty

Rector

Tbilisi April 24, 2008. Registration No 00397

საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბაკალავრის
დიპლომი

BA № 000439

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2007 წლის 20. 9 გადაწყვეტილებით,

მაია ჩხაიძეს

დაბადებულს 1986 წლის 19 ოქტომბერს

მიენიჭა არქიტექტურის

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ბ. ა.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

თბილისი 24/04/2008 სარეგისტრაციო # 00397

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

MASTER'S

DIPLOMA

MD № 001022

By the decision N 10 June 27, 2012 .

of the faculty of

Architecture, Urban Planning and Design

Ms. Maia Chkhaidze

was awarded the Degree of Master of

Architecture

Registration № 01020

Tbilisi 3 6 2013

რიცხვი/day თვე/month წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მაგისტრის

დიპლომი

MD № 001022

არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის

ფაკულტეტის 2012 წლის 27. 6 № 10

გადაწყვეტილებით მაია ჩხაიძეს

მიენიჭა არქიტექტურის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი / გოჩა მიქიაშვილი

Dean / Gocha Mikiashvili

რექტორი / არჩილ ფრანგიშვილი /

Rector / Archil Prangishvili /

Seal